

ვარკეთილში თიბისი ბანკის პირველი ფილიალი გაიხსნება

გლობალური კრიზისის მიუხედავად, თიბისი ბანკი აგრძელებს ფილიალების ქსელის გაფართოებას

პრეს რელიზი

26 თებერვალი, 2009 - დღეს, 12:00 საათზე თიბისი ბანკი საზეიმოდ გახსნის ახალ ფილიალს ვარკეთილში. ღონისძიებას დაესწრებიან თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მამუკა ხაზარაძე, ბანკის პრეზიდენტი ვახტანგ ბუცხრიკიძე და მენეჯმენტის სხვა წარმომადგენლები.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის მიუხედავად, თიბისი ბანკი კვლავ აქტიურად აგრძელებს ფილიალების ქსელის გაფართოებას და საკმაოდ სერიოზულ ინვესტიციას ახორციელებს ამ მიმართულებით.

შარშან თიბისი ბანკმა საქართველოს მასშტაბით 26 ახალი ფილიალი გახსნა, რაზეც 28 მილიონი ლარი დახარჯა. აღსანიშნავია, რომ ამ ინვესტიციის მნიშვნელოვანი წილი აგვისტოს კონფლიქტის შემდეგ განხორციელდა.

მიმდინარე წელს კი ბანკმა უკვე გახსნა ერთი ახალი ფილიალი ბათუმში და ამჯერად მეორე ახალ ფილიალს ხსნის, რომელიც თიბისი ბანკის პირველი ფილიალია ვარკეთილის რაიონში.

ვარკეთილის ფილიალი ბანკის კიდევ ერთი თანამედროვე სტანდარტების ფილიალია, რომელიც მოემსახურება, როგორც კორპორატიულ კლიენტებს, ისე ფიზიკურ პირებს და შესთავაზებს მათ სრულ საბანკო სერვისს.

- ◆ ფიზიკური პირების მომსახურება;
- ◆ კორპორატიული კლიენტების მომსახურება;
- ◆ საინვესტიციო საბანკო მომსახურება;
- ◆ პირველი ქართული ბანკი, რომელსაც ISO ხარისხის სერთიფიკატი მიენიჭა;
- ◆ თიღერი ტეპოზიტების ბაზარზე
- ◆ თიღერი ტექნოლოგიურ სერვისებში;
- ◆ ეო-ბრენდ პროდუქტების ინოვაციური საბანკო სფეროში;
- ◆ ახალი ტიპის ულტრათანამედროვე საბანკო ფილიალების "მომსახურება ბარიერების გარეშე" ინოვაციური საქართველოში;
- ◆ წამყვანი პოზიციები უკავია სხვადასხვა საფინანსო სფეროებში: ლიზინგის, საბროკერო და სადაზღვევო ბაზრებზე;
- ◆ პირველი ქართული კომპანია, რომელსაც საერთაშორისო რეიტინგი მიენიჭა;
- ◆ FitchRatings: B and B
- ◆ Moody's: B 3 and Ba 1

სს თიბისი ბანკი დაფუძნდა 1992 წელს და გამოირჩევა განვითარების ძალზე წარმატებული ისტორიით. სტაბილურად ინარჩუნებს საბანკო სექტორში წამყვანი საფინანსო ინსტიტუტის პოზიციას. 2007 წელს თიბისი ბანკი საქართველოს ფარგლებს გასცდა და რეგიონალური განვითარება დაიწყო. თიბისი ბანკის დამფუძნებლები: IFC, DEG და ქართული ჯერძო პირები.